ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘᲡ № 154 (13239) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲣᲠᲘ!

რვაასი ჰექტარი ხორბალი, 5 კომბაინი, თვითეულს 160 ჰექტარი, დღეში 13 ჰექტარი... კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. სეფაშვილმა ქადალდი მოკეცა და მექანიზატორთა მეთაურს მიმართა:

— რას იტყვით, თითო კომბაინისათვის დღეში 13 ჰექტარი ბევრი ხომ არ არის?

სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. თევდორაძემ ოქროსფერ ყანებს გადახედა და ღიმილით უთხრა:

— ფიქრი ნუ გაქვთ. 13 ჰექტარი რა არის. თვითეული დღეში 15-20 ჰექტარი ხორბლის მომკას მპირდება. ეჭვი არ შეგეპაროთ. ეს სრულდება.

მდინარე ჩელთთან მარცხენა მხარეს ალოობა გაჩაღდა. ხუთი ველის ხომალდი მთელ დღეს გუგუნებს. ნ. ახალბედაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ხორბლის მკის პირველ დღეს ბუნკერიდან 240 ცენტნერი მარცვალი გადმოტვირთა, მეორე დღეს — 300 ცენტნერი. მის აგრეგატზე კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ბიუროს გარდამავალი წითელი დროშა ფრიალებს.

ირიყრაჟებს თუ არა, ბ. მირინაშვილი კომბაინს ამოწმებს, თუ რამე უწესივრობა შენიშნა, ასწორებს და იწყებს პურეულის მკას. დღეში 8 ჰექტარის ნაცვლად 13 ჰექტარს მკის. მას არც გ. ბეჟიტაშვილი, ზ. ზუბიტაშვილი და ა. ტურაშვილი ჩამორჩებიან.

— მოსავალს ხომ არ ემდურით? — შევეკითხეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— მართალია, ამინდი ჭირვეული იყო. მაგრამ სიბეჯითემ თავისი გაიტანა. ხუთშაალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერს ვიღებთ ნაცვლად 18 ცენტნერისა. ზოგიერთ ნაკვეთზე [illegible] ცენტნერიც აიღეს. სახელმწიფოს 200 ტონა მარცვალს ჩაბარებთ. ერთ ფალეზეც საკმაოდ დავიტვირთებ.

პირუტყვს რომ საკვები საკმარისი ჰქონდეს, ყვარლის რაიონის შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში სწრაფად აგროვებენ ნამჯას. უკვე დაწნეხეს 60 ტონაზე მეტი ნამჯა.

პურის აღება წარმატებით მიმდინარეობს ახალსოფლის, გავაზის, ენისელის, გრემის და რაიონის ოთოქმის ყველა კოლმეურნეობაში.

ს. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ხორბლის აღება სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში. წინა პლანზე (მარცხნივ) — კომბაინერი გ. ბეჟიტაშვილი ბუნკერიდან ხორბლის გადმოცლის დროს.

ფოტო ვლ. გიზაბურგისა.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ — ᲧᲐᲜᲔᲑᲨᲘ

ᲑᲐᲠᲚᲐᲒᲜᲘᲡ რაიონის დიღმის სახელოთა მეურნეობის კომბაინერმა ა. ბერიაშვილმა სამი დღეა, რაც ქერის მკა დაიწყო და უკვე აღებული აქვს 40 ჰექტარი. გუშინ ქერის მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე გეგმის ზვევით გალეწა 3 ცენტნერი მარცვალი.

პირველობისათვის იბრძვის კომბაინერი ო. მარსიაოლი. იგი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ნაცვლად 8 ჰექტარისა ქერს მკის 14 ჰექტარს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ვ. ბიძაშვილის აგრეგატი აქ კომბაინის ბუნკერი სწრაფად იცლება. 12 ჰექტარი ნაცვლად 8 ჰექტარისა—ასეთია მექანიზატორის ვ. ბეჟაურის ყოველდღიური მაჩვენებელი.

მეურნეობის მხვნელ-მთესველებმა,— აცნობა რედაქციას მეურნეობის დირექტორმა ბ. საპმარშლიძემ, — მიუხედავად წლევანდელი ცუდი ამინდისა, კარგად მოუარეს პურეულის ნათესებს და შედეგიც კარგია. გუშინდელი დღის ჩათვლით ქერი მომკილია სულ 120 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით მიღებულია 6 ცენტნერით მეტი მარცვალი.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (საკადესი). დღეს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივ განცხადებას. განცხადებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა იოსიპ ბროზ ტიტომ.

განცხადების ხელმოწერას დაესწრნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. სსრ კავშირის მინისტრები და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები, იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲪᲔᲛᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საიუბილეო მედლებით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წელი“ დაჯილდოვა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი იოსიპ ბროზ ტიტო, ოვანეკა ბროზი და სხვა იუგოსლავი ამხანაგები, რომლებიც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

30 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

საპასუხო სიტყვაში იოსიპ ბროზ ტიტომ მადლობა გადაიხადა ჯილდოსათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საიუბილეო მედალი იუგოსლავი ხალხის დამსახურების აღიარებაა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში, აღიარებაა იმ წვლილისა, რომელიც იუგოსლავმა ხალხმა გამარჯვების საქმეში შეიტანა.

საიუბილეო მედლების გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. კოზლოვი, სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირზე დობრიკოვ ივიჩი. (საკადესი).

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 30 ივნისს კრემლში მიიღო კუბის რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბენიგნო რეგეირა.

ბ. რეგეირამ ა. ნ. კოსიგინს გადასცა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოსვალდო დორტიკოსის წერილი. საუბრის დროს, რომელმაც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, განხილულ საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის საავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. (საკადესი).

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲘᲝᲡᲘᲞ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (საკადესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მთავრობამ და სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

საპასუხო სიტყვა თქვა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა იოსიპ ბროზ ტიტომ.

დარბაზობამ ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ᲘᲝᲡᲘᲞ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (საკადესი). დღეს სამშობლოში გაემგზავრა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იყო ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის. მოწვეული.

მოსკოვს გარდა საპატიო სტუმარი იყო მინსკში, სვერდლოვსკში, ირკუტსკში, ბრატსკსა და ომსკში.

ენუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, იოსიპ ბროზ ტიტო, ოვანეკა ბროზი, იუგოსლავიის დელეგაციის წევრები გაეცალნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა საბჭოთა კავშირის პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, მშრომელთა წარმომადგენლებმა. გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

აეროდრომზე ა. ი. მიკოიანმა და იოსიპ ბროზ ტიტომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲐᲰᲘᲜᲨᲐᲰᲘ ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝᲞᲝᲚᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (საკადესის კორრ.). დღეს ირკუტსკიდან ყირიმში ჩამოვიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, დედოფალი ფარაჰ ფეჰლევი და მათი თანმხლები პირები.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ

1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი იაპონიის მეტალურგიული მრეწველობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა დელეგაციის მეთაური სიგეო ნაგანო და ესაუბრა მას.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს. (საკადესი).

ᲙᲐᲛᲒᲝᲯᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ, 1 ივლისს, თბილისში ჩამოვიდა კამბოჯის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე უნგ მუნგი მეუღლითურთ.

აეროდრომზე კამბოჯელ სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაკაძე, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ-საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგაშვილი, საქართველოს საზღვარგარეთის კეკეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ძლენტი და სხვები.

ბატონი უნგ მუნგი საქართველოში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ გაეცნოს მის ეკონომიკასა და კულტურას, ღირსშესანიშნაობებს. (საკადესი).

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲣᲒᲐᲜᲓᲐᲡ პრემიერ-მინისტრი დოქტორი ა. მ. ობოტე მადლობით დათანხმდა სსრ კავშირის მთავრობის მოწვევაზე ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. ა. მ. ობოტე საბჭოთა კავშირში ჩამოვა 1965 წლის ივლისის მეორე ნახევარში. (საკადესი).

ᲞᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ონის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. **ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ** რედაქციას აცნობა, რომ რაიონის მშრომელებმა 29 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის მიყიდვის დავალება განაღდებულია 110 პროცენტით, რძისა — 100,2 პროცენტით, ხოლო კვერცხისა — 103 პროცენტით.

ᲮᲐᲨᲣᲠᲚᲔᲗᲐ მშრომელებმა,— აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ᲐᲑᲐᲖᲐᲫᲔ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ᲛᲐᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 107 პროცენტით, რძისა — 100,1 პროცენტით, კვერცხისა — 105 პროცენტით, მატყლისა — 100,1 პროცენტით.

ᲐᲡᲐᲡᲘᲡ რაიონმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ᲒᲘᲖᲐᲫᲔᲛ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ᲛᲣᲨᲘᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა შ. ᲮᲝᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛ, — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 111.4 პროცენტით, რძისა — 100 2 პროცენტით, კვერცხი ნაცვლად 309 ათასი ცალისა სახელმწიფოს მიჰყიდა 339 ათასი ცალი, მსხვილი ტყავის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, წვრილისა — 110,5 პროცენტით, ღორისა — 143 პროცენტით, ბეწვეულისა — 288 პროცენტით, ჯურ.ეულისა — 112 პროცენტით.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲒᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ რევოლუციური ტრადიციები აქვს საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების მეგობრობას, რომელიც გამოიწოთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ეს მეგობრობა გამოსცადა დრომ, საერთო ბრძოლამ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის. ახალი გამოვლინება საბჭოთა ადამიანების მხურვალე გრძნობებისა, ღრმა პატივისცემისა და სიმპათიისა იუგოსლავი ძმებისადმი იყო მიტინგი, რომელიც 30 ივნისს ვიმბართა კრემლის ყრილობათა სასახლეში. მოსკოვის მშრომელები აქ მიესალმნენ იუგოსლავი ხალხის წარმომგზავნილს — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანს იოსიპ ბროზ ტიტოს.

დარბაზში, რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბნენ დედაქალაქის მრეწველობისა და მშენებლობათა ნოვატორები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს, ოვანეკა ბროზს, საკავშირო სკუაშრინის დეპუტატს და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს ჯერო პუცარს, საკავშირო სკუაშრინის დეპუტატს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრს კოჩა პოპოვიჩს, საკავშირო სკუაშრინის დეპუტატს, იუგოსლავიის შრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის გენერალურ მდივანს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრს მილენტიე პოპოვიჩს და სხვა იუგოსლავ სტუმრებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

იუგოსლავ სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში ორიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, ფ. ვ. გრიშინი, დ. ო. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ბ. ნ. პონომარიოვი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი.

მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

დარბაზში საზეიმოდ გაისმის იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოსკოველ მშრომელთა სახელით იუგოსლავიის პრეზიდენტსა და სხვა იუგოსლავ სტუმრებს მიესალმა ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ამწყობი ზეინკალი ი. ს. ფედოროვი.

საბჭოთა მეცნიერების მუშაკებისა და მოსკოვის ინტელიგენციის სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვ. ი. სპიცინმა.

მოსკოველ კომკავშირელთა 800-ათასიანი რაზმის, დედაქალაქის ყველა ქალიშვილისა და ჯამბულის სახელით პრეზიდენტს და მისი სახით იუგოსლავიის სახელოვან ახალგაზრდობას გულთბილად მიესალმა № 111 პოლიკლინიკის ექიმი ლ. ა. სუროვა.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ა. ი. მიკოიანს. დამსწრენი მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ მას.

იუგოსლავიაში ჩასულ ყველა საბჭოთა ადამიანზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ჯელობლობა და გულთბილობა, რომელსაც იუგოსლავი მშრომელები ჩაჩენენ მათდამი. იუგოსლავთა გულითად გრძნობებზე მოგვითხრობდა ამხანაგი ბრეჟნევიც 1962 წელს იუგოსლავიაში ვიზიტის შემდეგ.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც, ძვირფასო იუგოსლავო სტუმრებო, ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს კიდევ ერთხელ იგრძენით, თუ რაოდენ გულწრფელი და ღიღია საბჭოთა ადამიანების მეგობრობა მოძმე იუგოსლავიისადმი.

ყველა საფუძველი გაგაქვს ამაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ ამ ბოლო წლებში განუხრელად მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობა, წარსულს ბარდება ის, რაც ოდესღაც ჩრდილს აყენებდა მას.

ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა ამჟამად სულ სხვადასხვა დარგში ხორცელდება.

მნიშვნელოვნად განვითარდა და ახალი ფორმა და შინაარსი მიეცა ჩვენს ეკონომიურ ურთიერთობას. სწრაფი ტემპით ვრცდება საქონელბრუნვა. ამას წინათ მოსკოვში გამართული ეკონომიური მოლაპარაკება და საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სამთავრობათშორისო კომიტეტის შეკრება მოწმობს, რომ ჩვენ დიდი რეზერვები და რეალური შესაძლებლობანი გვაქვს გრძელვადიან საფუძველზე ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებისათვის. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში რამდენიმე ათეულ საზღვაო გემზე, რომლებსაც იუგოსლავიის გემთსაშენები ააგებენ, საბჭოთა კავშირის ალმი ალმართება. საბჭოთა კავშირი ტექნიკურად უწყობს ხელს და კომპლექსურ მოწყობილობას აწვდის იუგოსლავიის მეტალურგიულ ქარხნებს, თბოელექტროსადგურებსა და სხვა სამრეწველო ობიექტებს. იუგოსლავია და რუმინეთი დუნაიზე „რკინის კარის“ რაიონში აშენებენ ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც სიმძლავრით ისეთ გიგანტს უთანაბრდება, როგორიც ასუანია. ამ ჰიდროელექტროსადგურისათვის საბჭოთა კავშირი აწვდის მოწყობილობას.

თვითეული სოციალისტური ქვეყანა თავისი ისტორიული წარსულის თავისებურებების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დონის, გარემოცვისა და თვალი რეგი სხვა ფაქტორების შეაბამისად თავისებურად წყვეტს სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ პრობლემებს და იღენს ამ მხრივ საკუთარ გამოცდილებას. ამას ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი განჭვრეტდა. ეს კი გულისხმობს სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების დაკვირვებულ უოთიერთ შესწავლას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირში ინტერესით ეკიდებიან იუგოსლავი მშრომელების, ისევე როგორც სხვა ძმამდე ხალხების მიღწევებს.

ვიხეკ ერთხელ მაინც ყოფილა სოციალისტურ იუგოსლავიაში, გაუცანია მისი შესანიშნავი მშრომელები, იგრძნობდა, თუ რა დაუმრტელა ძალებმა გაიღვიძა ხალხში, რომელმაც კაპიტალიზმის უღელი მოიშორა. ბურჟუაზიულ-მემამდეღური იუგოსლავია ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების აგრარულ-სანედლეულო დანამატი იყო. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, რომლებიც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციის შედეგია, საშუალებას მისცემს იუგოსლავიას, ოთხ წლების ოლოსაალური მსხვერპლისა და ხვრეის მოუხედავად, დიდი წარმატებები მოიპოვოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ოთხშემდგომ წლებში იუგოსლავიამ თავისი სამრეწველო წარმოება შეიჯერ გაზარდა და ინდუსტიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ამ ტოსტზეც შემდგომი წარმატებანი ვუსურვო გმირ იუგოსლავ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში.

დღეს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები იარაღით ხელში ცდილობენ ჩაახშონ იმ ხალხთა ბრძოლა, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ფარნო გზას დადგენენ, განსაკუთრებით საქმეა სოციალისტური ქვეყნების ერთობლივ მოქმედებაზეა. ჩვენ და სხვა სოციალისტური ქვეყნები საპირო ვართ ერთობლივ ვიმოქმედოთ და გავუწევთ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის — ამის შესახებ ჩვენსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის სრული ურთიერთგაგებაა.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციები ანონიერ აღმოფთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნებშიც კი ცოტა ვინმე თუ ამართლებს ამერიკის თავჯობის ახლანდელ პოლიტიკას. კრიტიკა ძლიერდება თვით შეერთებულ შტატებშიც. ეს პროტესტები რომ შეანელონ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროებელები ინიციატორ ორიან თითქმის ყოველდღე გამოაქვეყნონ განცხადებანი, რომლებშიც ცდილობენ გაიძარცონ თავიანთი ავანტურისტული კურსი. რომ მოისმინონ მათი სიტყვები, რომლებიც ამერელებულია ბიბლიის გამოთქმებით მშვიდობისადმი მისწრაფების შესახებ, შეიძლება ითქვა, შეეროვნებულნ შტატებმა კი არა. ვიღაც სხვამ გაგზავნა თავისი ჯარები შორეულ ვიეტნამში, ან ბატარა დომინიკის რესპუბლიკაში, განა ეს თვალთმაქცობა არ არის — ბომბებსა და ნაპალმს უშენდე ვიეტნამის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, გაგზავნ იყენებდე ვიეტნამელი მოსახლეობის წინააღმდეგ, ამერიკის ქვეითი ჯარის ხიშტებს ოერეულებდე დომინიკელებს და ამავე დროს ქადაგებდე „მშვიდობისმოყვარეობას“. აცხადებდე, „მზად ვარ“ მიეცეს მოლაპარაკების მაგიდასო. მოლაპარაკების მაგიდას რომ მიუსხდნენ, ამისათვის ისინი თურმე მზად ყოფილან ამერიკის შეწყვეტისათვის ეს ომ ა!

ამერიკის ამ აქტების ფონზე ყალბად გაისმის ამერეული ეაშინგტონის მოწოდებანი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნებისაღმი, შეერთებულ შტატებთან ერთად იარეთ „მშვიდობის გზითო“. როცა ადამიანები ისმენენ მაღალფარდოვან განცხადებებს, თითქოს „მსოფლიოს ყველა რაიონში, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში შეერთებული შტატები მშვიდობისათვის იბრძვიან“, მათ უთუოდ თვალწინ წარმოუდგებათ სურათები ნგრევის და სიკვდილისა, რაკი ამერიკელ ინტერვენტებს მოიქცევ სხვა ხალხებისათვის.

ამის წინაა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა ფაშისტური გერმანიის განადგურების 20 წლისთავი. ოცი წლის განმავლობაში ომის ჭრილობები მოშუშდა მაგრამ ხალხთა მეხსიერებაში კვლავ ცოცხლობს ომის წლების ოშაგალოთი ნგრევისა და მსხვერპლთა მოგონება. პირდაპირ უხდა ითქვას, რომ ომის საფრთხე ევროპის ერებისადმი ეკიდან მოდის, სადაც სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოწოდება შეიიარაღების სახელმწიფოთა საზღვრები, რომლებიც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შე-

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ա. Ի. ᲛᲘᲙᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ ამხანაგო ტიტო!

ძვირფასო იუგოსლავო მეგობრებო!

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ შეეკრიბეთ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის მიტინგზე ამის აღსანიშნავად, რომ

ამხანაგ ა. ი. მიკოიანის სიტყვა

(დასასრული)

დეგად ჩამოყალიბდა. საფრთხე იქიდან მოდის, სადაც ატომური იარაღის დაუფლებას სახელმწიფო პოლიტიკის სხვა მიზნებზე მაღლა აყენებენ.

თქვენ, ამხანაგო ტიტო, ახლახან იყავით ევროპის ორ სოციალისტურ ქვეყანაში, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. იქ ყოფნის დროს განსაკუთრებით მწვავედ გრძნობ, რა ძლიერ გაღელვებულია დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ატმოსფერო რევანშიზმისა და მილიტარიზმის სულის ყვითელით. ნატოს სტრატეგები ხან „მრავალმხრივ", ხან ხატის „ატლანტიკის" ატომურ ძალებზე ლაპარაკობენ, შინაარსი კი ერთი და „გზე რჩება — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ხელში ჩუგდონ ატომური იარაღი.

რა არის, თუ არა რევანშის პოლიტიკის ნაყოფი, ცნობილებელი „ჰალშტაინის დოკტრინა". ამ, უკაცრავად პასუხია, დოკტრინის მიხეკდენი „არავის არა აქვს ნება' ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ორსავე სახელმწიფოს. ატომურ ძალებზე ამ „ბრალეულ" ეროვნულ ერთობას ბონელ ბანდიტებს, ნაცისტ-ბანდიტებს ანიჭებენ ამ ბრალე

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის სხდომა

ბუდაპეშტი, 1 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა, რომელიც ხელმძღვანელობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად უნგრეთის სამეფო სახალხო ფრონტის საბჭოს ერთობლივი წევრადადებით, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი გაათავისუფლა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ამასთან აღნიშნა მისი დამსახურება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, პრეზიდიუმმა აღნიშნა დოქტორ ფერენც მიუნიხის დამსახურება და იკი მისივე თხოვნით ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლა სახელმწიფო მინისტრის მოვალეობისაგან და დაეთანხმა მის გასვლას პენსიაზე. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა აღნიშნა იანოშ პაპის დამსახურება და გაათავისუფლა იგი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა დიდმნიშვნელოვანი პარტიული დავალების გამო.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა გაათავისუფლა დიოლა კალაი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და ირჩია იგი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღესვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დიოლა კალაიმ ფიცი მისცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ეშტვან დობის.

◆

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

პრაღაში ჩეხოსლოვაკიამ და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებას და შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმება ითვალისწინებს ტექნიკური დოკუმენტაციისა და სპეციალისტების გაცვლას. სავაჭრო შეთანხმება ქმნის ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთის საქონელ-ბრუნვის გაფართოების წანამძღვრებს.

ᲞᲝᲚᲘᲝᲙᲘ ᲩᲮᲐᲠᲘ ᲣᲥᲔᲠᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ

ტოკიო, 1 ივლისი. (საკდესი). ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა ჰოლიოკამ, რომელიც იაპონიაში იმყოფება ოფიციალურ ვიზიტად, დღეს სიტყვა წარმოთქვა სახელგარეთელ კორესპონდენტთა ტოკიოს კლუბში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ჰოლიოკამ კვლავ სავსებით მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების საომარი მოქმედება ვიეტნამში და დაადასტურა გადაწყვეტილება საარტილერიო ქვეგანაყოფი გაიგზავნოს იქ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). გაჯფთრებული ბრძოლები გრძელდება ტუ-მარონგის გარშემო. ეს არის პატარა ქალაქი 200 მილზე საიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. როგორც სააგენტოები იუწყებიან, დღევანდელი ბრძოლების შედეგად პარტიზანებმა ალყა შემოარტყეს მარიონეტთა ჯარების დიდ რაზმს, რომლებიც ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ტუ-მარონგისაკენ, რომელიც პარტიზანებს უკავიათ უკვე ხუთი დღეა. გაწყვეტილია კავშირი ამ რაზმთან, რომელშიც რამდენიმე ასეული კაცია. ბრძოლების რაიონში ჩამოგდებულია ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი.

◆

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ

ბანკი, 30 ივნისი. (საკდესი). გუშინ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი ბანდიტური თავდასხმები მოახდინეს ამერიკის რეაქტიულმა თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ხომალდებზე, სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის აეროდრომებზე.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

წერილში, რომელიც დღეს გაეგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისია მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის ავიაციის დანაშაულებრივი მოქმედების გამო და მოითხოვს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესიის აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე ზუსტად დაიცვან და შესრულონ უენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

◆

ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ვაშინგტონი, 30 ივნისი. (საკდესი). აქ მომდინარეობს სამხედრო ბლოკის—ანზიუსის (რომელიც ერთიანებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას) საბჭოს სხდომა. სხდომის ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ მისმა მონაწილეებმა გუშინ გადაწყვიტეს საიდუმლო მოლაპარაკება.

სამხედრო პარტნიორთა ვაშინგტონის თათბირის შედეგებმა მალე ირკვა თავი. გუშინ პირველად 1.200 ამერიკელი პარაშუტისტი 82 ავსტრალიელ ჯარისკაცთან ერთად აშკარად შეუერთდა სამხრეთ ვიეტნამის ორ ბატალიონს, რათა მოაწყოს სადამსჯელო ოპერაცია სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წინააღმდეგ. ამერიკის ვერტმფრინავებმა დამსჯელი ჩაიყვანეს ჯუნგლში 30 მილზე საიგონიდან. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ჯუნგლის ჩხრეკა წარმატება არ მოჰყოლია. სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები იქ აღარ აღმოჩნდნენ.

კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ამ ოპერაციის დროს მოკლეს ამერიკის შეერთებული შტატების 173 საჰაერო-სადესანტო ბრიგადის პირველი ჯარისკაცი.

საერთაშორისო ცხოვრება

ᲡᲘᲛᲬᲐᲚᲑᲔ ᲛᲖᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პრაღა, 1 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაკეთდა განცხადება „სუდეტელ გერმანელთა სთვიისტომის ყრილობაზე" ჩეხოსლოვაკიის საწინააღმდეგო გამოხდომების გამო. რევანშისტთა ეს თავყრილობა დასავლეთ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გაიმართა 5-7 ივნისს.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ეგრეთ წოდებულ „სუდეტელ გერმანელთა" საქმიანობა სულ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. „შტუტგარტის განცხადება", რომელიც ყოფილობს მონაწილეებმა მიიღეს, შეიცავს მოთხოვნას, რომ „გერმანელ ხალხს დაუბრუნონ" იგრეთ წოდებული „სუდეტის ოლქი" — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი.

ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ „სუდეტელ გერმანელთა" ასეთ ლოზუნგებს ეროვნებრივი მიზანი აქვთ: შენიღბონ რევანშისტული ტერიტორიული პრეტენზიები.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამხილებს დასავლეთ გერმანიის იმ მტკიცებათა სიყალბეს, თითქოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ბოლოს და ბოლოს უარი უნდა თქვას მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზიის არარეალურ პოლიტიკაზე, ხაზგასმულია განცხადებაში.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲡ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ

ტოკიო, 1 ივლისი. (საკდესი). ამერიკის რეაქტიულმა თვითმფრინავმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების აცუგის სამხედრო-საჰაერო ბაზაში მიდიოდა, დღეს დაკარგა საბრძოლო რაკეტა. იაპონის პოლიციამ და საზღვაო დაცვის სამმართველომ სასწრაფოდ დაიწყეს დაკარგული საშიში ტვირთის ძებნა. რაკეტა გატენილია 180 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერებით.

ამერიკის სარდლობამ, რომელმაც პოლიციას აცნობა რაკეტის დაკარგვა, უარი თქვა, აღენიშნა, თუ რა ტიპის არის ეს რაკეტა.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲬᲠᲝᲒᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲚᲐ

ბრიუსელი, 1 ივლისი. (საკდესი). სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წარმოადგენელმა პიერ არმელმ, რომელმაც ახალი მთავრობის შექმნა იკისრა, ბელგიის პარლამენტის არჩევნების შემდეგ, გუშინ სერიოზული მარცხი მოუვიდა. თავისუფლებისა და პროგრესის პარტიამ (ყოფილი ლიბერალური პარტია) უარი განაცხადა შესულიყო მთავრობის კოალიციაში, რომელსაც პიერ არმელი ეგზმავდა. ეს უარი ნიშნავს, რომ არმელი პარლამენტში საჭირო ხმებს ვერ მოაგროვებს.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

• **ბერლინი,** 30 ივნისი, (საკდესი). როგორც ადგილობრივ საგაზეთო ოფიციალურ ინფორმაციიდან ირკვევა, 5 ივლისიდან შემოღებულ იქნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიის შორის სარკინიგზო ტვირთზიდვის ახალი წესი, ეს შეთანხმება მიღწეულია მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივით მოეწყო და მიზნად ისახავდა ურთიერთობის ნორმალიზაციას ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის.

ოქმს სარკინიგზო ტვირთზიდვის ახალი წესის შემოღების შესახებ ხელი მოაწერეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რკინიგზის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებმა.

ოქმში ხაზგასმულია, რომ ტვირთზიდვის ახალი წესი შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲘᲡᲜᲔᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲔᲣᲛᲔᲠᲘ

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). ნორის დეპარტამენტის მეტალურგიული, ქიმიური, საფეიერო და სამშენებლო მრეწველობის ორასი ათასმა მშრომელმა — გუშინ მოაწყო ხანგძლივი გაფიცვა, ეს გაფიცვა, მიუხედავად ნაკლებ მასშტაბისა — ლუსერნი [illegible] მოითხოვს, რომ მეწარმეებმა ამ პროკლეტარიატ აანაზღაურონ სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

◆

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ლონდონი, 1 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ კორეის დედაქალაქის უძველეს სასწავლებელთა სტუდენტები ქველ პროტესტს აცხადებენ იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელსაც ამას წინათ მოაწერეს ხელი. დღეს გაიმართა სეულის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაცია, რომლებმაც პროტესტის ნიშნად დაწვეს იაპონიის ალამი, ხოლო ათასამდე სტუდენტმა ქალმა მოაწყო სამპროტესტო დემონსტრაცია და ხანმოკლე მჯდომარე გაფიცვა. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან.

◆

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲔᲮᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘ

რომი, 1 ივლისი. (საკდესი). გუშინ რომში დემონსტრაცია მოაწყვეს ომის კეტრანებმა, რომლებიც პენსიათა გადიდებას მოითხოვენ. რამდენიმე ათასმა ომის ვეტერანმა — ბეგრმა ყავარჯნებითა და ეტლებით — გაიარა კოლიზეიდან პარლამენტის შენობისაკენ და კოცონი აანთო რომის ცენტრალურ მოედანზე. სანამ მოედანზე მივიდოდნენ, ინვალიდებმა გადალახეს რამდენიმე ბარიკადი, რომლებიც პოლიციამ აღმართა, და გაარღვიეს პოლიციელთა კორდონები.

ეს უკვე ომის ინვალიდთა მეორე დემონსტრაციაა ამ უკანასკნელი კვირების მანძილზე.

◆

ᲧᲕᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡᲐᲨᲘ

პრაღა, 1 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა სააგენტო იმოწმებს სლოვაკიის ყაყლდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის შტაბის ცნობებს და იუწყება, რომ ვაგის მარჯვენა ნაპირის კამბალის რაიონში ყაყლის დონე განუწყვეტლივ მატულობს იმის შედეგად, რომ გაარღვია კამბალი ჩიჩოვის მახლობლად.

ბრატისლავისა და კომარნოს და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტების რაიონში დუნაის ყაყლის დონე კლებულობს. ზოგიერთ ადგილას კლებულობს მდინარე ზორავის ყაყლის დონე. მაგრამ ვაგისა და ნიტრის შესართავებში აგებულ კამბალებს ჯერ კიდევ აქვთ გარღვევის საფრთხე.

ყაყლდიდობის გამო საშიში რაიონებიდან უკვე მეკუჭურებულია 52 ათასზე მეტი კაცი. ხორციელდება ეპიდემიურ დაავადებათა თავიდან აცილების ღონისძიებანი.

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ წინ

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ—„ᲞᲔᲚᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲐ"

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოველები პირველად ნახავენ ლეგენდარულ „პელეს გუნდს" — ბრაზილიის ნაკრებს, ფეხბურთში მსოფლიოს 1958 და 1962 წლების ჩემპიონებს. ბრაზილიელები მოსკოვის მაჩრით დაამთავრებენ დაძაბულ ტურნეს ევროპაში. საბჭოთა ნაკრებისათვის ეს ოდენ სახელოვან მეტოქეთან ორმაგი ბრძოლა, უეჭველია, ძალთა საუკეთესო შემოწმება იქნება ლონდონის ფინალური ტურნირის წინ, რომლის საგზურები დღეს უკვე თითქმის ჩვენს ხელთ არის.

მოსკოველ მატჩის წინ მეკითხეოდნენ შეუძლიათ გაუცნონ „პელეს გუნდს", რომელსაც წარმოუდგენს მათ ახალი ამბების სააგენტოს ფეხბურთის მიმომხილველი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲕᲐᲡᲘᲜᲘ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ მსოფლიოს ჩემპიონებს ბედიანებად თვლიან, თუნდაც იმიტომ, რომ მათ მეკაირეები მატჩები არ უნდა გაიარონ. რა თქმა უდა, ფინალურ გათამაშებაში ადგილი ბევრ რამედ ღირს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბრაზილიის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებს უზრუნველი ცხოვრება დაუდგამთ.

საკითხი უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ნაკრები ფაქტიურად არ არეგობს. მართლაც, ბრაზილიის იმ გუნდის შემადგენლობას, რომელმაც 1958 და 1962 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგო, თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. ქალდმერთ ნიკეს თასის ჩილის ბალეთაბამებმ ცნობილი გახადა მარტო ამარილდო, და ისიც ძნოლოდ იმიტომ, რომ მწყობრიდან გამოვიდა საუკეთესო თავდამსმელი ჰეელ.

უკვე სამი წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონები პირველობის ყველაზე მაღალსაკოფალი გუნდი იყო. ამიტომ ძალთხელთა მოელი მეცადინეობა მომართული იყო იქითკენ, რომ ვეტერანებისათვის შეეფერი ცვლა მოეწახათ. თითქოს ბრაზილიისათვის, სადაც ნიჭიერი ფეხბურთელები თავსაყრელად არიან, ეს პრობლემა არ არის. მაგრამ აქაც წარმოიშვა სიძნელეები. ახალგაზრდა ბრაზილიელები, ფეხბურთის მოედანზე რომ გამოდიან, მოწადინებულნი არიან უწინარეს ყოვლისა ბრწყინავდნენ, ბოლები გაჰქონდეთ, ტაში იწვევდნენ — ასეთია მათი ხასიათი. ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონებს შეუძლიათ ივრცის ოთხი-ხუთი თითქმის თანაბარი ღირებულების ხაზი გამოიყვანონ. ბოლოს, ძნელი არ არის გადაიტრას მეკარის პრობლემაც (ესეც ეფექტიანი თანამედროვეობაა), დაცვის ხაზებში კი საქმის ვითარება გაცილებით რთულია.

სწორედ ამით აიხსნება, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ეკრანის ამ-ლანდელ ტურნეში მოთაფილოს სამი მცველი (ორლანდო, ბელინი და ჯალმა სანტოსი) სტოკჰოლმის შემადგენლობაში ალარ იყვნენ მოლად ანალგაზრდები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოგზაურობა ბრაზილიელებს ბიაჩნიათ უკანასკნელ რეპეტიციად ინგლისის ტურნირის წინ. ეგზამენ ეს ტურნირების გამოჩენა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბრაზილიელ სელექციონერებს ჯერჯერობით უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებიათ.

რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა ნაცვლადცვაში, სადაც „ჯალეირასის" კლუბის კარგად მეწყობილი ბაგბეკები წყვილი— დუდუ და ადემარი — უზრუნველყოფს საკმაოდ მტკიცე პოზიციებს მოედნის შუაგულში. პირველი სერიოზული გამოცდა ძველ ევროპაში — მატჩი პორტუგალიის ნაკრებთან დაცვის ხაზებმა ღირსეულად ჩაანარეს, არც ერთი გოლი არ გაუშვიათ. მაგრამ შეძლებენ თუ ვერა „მოხუცები" ალტანინ ხანგრძლივი ტურნეს დაძაბულობა, თანაც ბაგის მუდმივი ცვლილებადობა, რომლის მიმართ ბრაზილიელები ძალიან მგრძნობიარენი არიან, ეს სხვა საკითხია. ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა „ოქროს ქალდმერთის" ბედი უნდა გადაწყდეს ისინი კიდევ უფრო ხნიერი გახდებიან, და დაძაბულობაც ასეთ ტურნირზე ბევრად უფრო დიდია, ვიდრე „ყოველ ტურნირზე.

ყველაზე მრისხანედ გამოიყურება რემპიონთა თავდასხმის ხაზი: გარინჩა-პელე-ფლავიორინალდო. აქ, რა უცნაურადაც უნდა გვეჩვენონა, მეწარმენელებს ყველაზე მეტად აფიქრებენ პელე და გარინჩა. არა, სახელგანთქმული ოსტატები უფრო ცუდად რიდი თამაშობენ. მაგრამ დაქანცული არიან. უკანასკნელ წლებში ბრაზილიის კლუბების ხელმძღვანელები, ფეხბურთის კონიუნქტურიდან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი რომ მიიღონ, პრემიერებს აიძულებენ წელიწადში ითამაშონ ას-ასი მატჩი, ესე იგი თითქმის ყოველ მეორე დღეს. თუ ამას დავუმატებთ, რომ მათი მეურვე მცველები ბურთის წასართმევად არავითარ სამუალებას არ ერიდებიან, ნათელი გახდება, რომ გუნდის საუკეთესო თავდამსმელები როგორც ნერწული, ისე ფიზიკური ძალების ზღვარზე თამაშობენ.

